

# წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის

## შესახებ ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - ივერი კვარაცხელია  
თანამდებობის დასახელება-

ფრაქციის დასახელება — „ქართული ოცნება-კონსერვატორები“

კომისი(ებ)ის დასახელება - სოციალურ საკითხთა კომისია, სივრცით-ტერიტორიული  
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია.

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით)-N68 წალენჯიხის საარჩევნო ოლქი  
საანგარიშო პერიოდი- 2015 წლის 01 ნოემბრიდან 2016 წლის 01 ნოემბრამდე.  
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი

**1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:**

1. სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა - 25

საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 22

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა \_ 28

კომისიის სხდომებზე დასწრება \_ 23

3. სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა - 14

ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 14

**4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:**

ა) 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

ბ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016–2018 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის  
თაობაზე;

გ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა  
კვალიფიკაციის ამაღლების 2016 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ;

დ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული  
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის  
მუნიციპალური პროგრამების შესახებ;

ე) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის  
მუნიციპალიტეტში 2016-2017 წლებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების  
თაობაზე;

ვ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის მხარდამჭერ ამომრჩეველთა  
სიის ბლანკის, პეტიციის თაობაზე წარსადგენი განცხადების ფორმისა და მისი  
რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ;

**5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა:**

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის  
წესით სარგებლობაში გაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“, წალენჯიხის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 მაისის განკარგულება.

**6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა 15 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა  
რაოდენობა - 550**

**7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები**

ნაკიფუს ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია, სოფელ  
საჩინოსა და ჩქვალერის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, სტიქიით მიყენებული

დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა, სოფელ ნაკიფში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია, ქალაქ წალენჯიხის მაცხოვრის გორასა და ნაკიფუს ადმინისტრაციული ერთეულის ნანჯარუს უბანს შორის არსებული გზის რეაბილიტაცია და ღელე ოტოფუეზე ხიდის მშენებლობა, თხილის მავნებლების საწინააღმდეგო პრეპარატების შეძენაში მოსახლეობისათვის გამგეობის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა, სოციალური პრობლემების მოგვარება.

**8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)**

ნაკიფუს ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა ცენტრალური და შიდა გზების მოხრეშვითი სამუშაოები, ცენტრალურ უბნებში გარე განათების მოწყობა, ულურიის უბანში სანიაღვრე არხის მოწყობა, ორი ჭაბურღილის მოწყობა, საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა და სხვა.

ქ.წალენჯიხაში საცხოვრებელი კორპუსების სარდაფებში მოწესრიგდა საკანალიზაციო სისტემა, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოების მოასფალტება, ქალაქის ცენტრალური გზის მოასფალტება და სხვა.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში განხორციელდა, ივლის-აგვისტოს თვეში სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა.

მიმდინარეობს ჯგალისა და მიქავას ადმინისტრაციულ ერთეულებში საბავშვო ბაღის მშენებლობა;

დასრულებულია ქ.წალენჯიხაში სამიქაოს უბანში ჭაბურღილის მოწყობის, ნაკიფუს, მიქავას, მედანის და ფახულანის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები.

**II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა**  
ვარ საკრებულოს სოციალურ საკითხთა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიების წევრი. აქტიურად ვარ ჩართული აღნიშნული კომისიების მუშაობაში, კომისიებზე განსახილველად გამოტანილ საკითხებზე სათანადო დასკვნების შემუშავებაში. ჩემი ინიციატივით სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომაზე მოსმენილიქნა მუნიციპალიტეტის გამგეობის მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ანგარიში ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ.

საკრებულოში გაერთიანებული ვარ „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს ფრაქციაში და მონაწილეობა მაქვს მიღებული ფრაქციის მიერ გამართულ 14-ივე სხდომაში. როგორც ფრაქციის ასევე საკრებულოს სხდომებზე ვაფიქსირებ ჩემს პოზიციებს მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებთან და საკითხებთან დაკავშირებით.

შევსების თარიღი- 31/10.2016წ.

წარდგენის თარიღი 31.10.2016 წ.

ხელის მოწერა

